საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იარაჯულების სამაროვანი

იარაჯულების სამაროვანი, IV–VIII სს. არქეოლოგიური ძეგლი, აღმოჩნდა 1962 სოფ. იარაჯულებში, ადგილ სამარწყვეში (თიანეთის მუნიციპალიტეტი). მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა რამდენიმე ქვის სამარხი.

მათში ნაპოვნია სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: ბრინჯაოს საკინძები, ბეჭდები, მშვილდსაკინძები, აბჯრისა და სარტყლის ნაწილები, საბეჭდავი; ვერცხლის საკინძები, რკინის აბზინდა და დანა; სარდიონისა და მინის მძივები.

მასალა ინახება თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, IV. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982.

ბ. ჯორბენაძე